


მეოთხე კატეგორიის ციფრული ფორმები

სისტემაში შესაძლებელია მეოთხე კატეგორიის ფინანსური ანგარიშგების ციფრული ფორმების ფორმირება: „ფინანსური მდგომარეობა“, „საქმიანობის შედეგები“ და „ფულადი სახსრების მოძრაობა“

ამისათვის გამოიძახეთ მენიუ **ბუღალტერია/შედეგები/ფინანსური ანგარიშგების ციფრული ფორმები/მესამე კატეგორიის ციფრული ფორმები**. იხილავთ ეკრანს:



ეკრანზე უნდა მიუთითეთ საანგარიშგებო პერიოდის დასასრული (ავტომატურად მიეთითება წინა საოპერაციო წლის დასასრული), რომლის მიხედვითაც დაფორმირდება შესაძარისი პერიოდების თარიღები და ფორმებში ამოვა ამ თარიღების შესაბამისი შედეგები. მაგ: თუ აფორმირებთ 2021 წლის ანგარიშგებას, საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ვუთითებთ 31.12.2021, ფინანსური მდგომარეობის შედეგები დაფორმირდება სამი პერიოდის მიხედვით: საანგარიშგებო პერიოდის-2021 და წინა ორი შესაძარისი პერიოდის -2020,2019 მიხედვით, ხოლო საქმიანობის შედეგები და ფულადი სახსრების ანგარიშგება-საანგარიშგებო და წინა ერთი შესაძარისი პერიოდით :2021,2020.

მომდევნო გვერდზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“. იხილავთ ფინანსური მდგომარეობის ფორმას:

მაკროსი (შეოთხე კატეგორიის ციფრული ფორმები)

თუ შედეგები ცარიელია, ან გსურთ თავიდან გადათვლა, გამოიყენეთ ლილაკი [გადავითვალოთ შედეგები];
 მხოლოდ ერთი ჩანაწერის შედეგის გადასათვლელად გააკორექტირეთ შესაბამისი ანგარიშის ან ფორმულის ელი;
 მიღებული შედეგები გადაიტანეთ <https://rms.reportal.ge-ზე>, მეოთხე კატეგორიის ფინანსური მდგომარეობის ფორმაში;

დებიტორ კრედიტორების გადასახური მშობელი ანგარიშები

გადასახური ანგარიშები

გადავითვალოთ შედეგები

ფინანსური მდგომარეობა

N	დასახელება	ანგარიშები	ფორმულა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019	შემოწმების პირობა
1	აქტივები						
2	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1100,1200					
3	სააქრო და სხვა მოთხოვნები	1410,1415,1420,1430,1440,1450,1460,1470,1490					
4	გაყვანილი ავანსები და დარიცხვები მისასვლელი	1700,1800,1480,1485					
5	მარაგები		[6]+[7]				
6	შპს პროდუქცია	1640					
7	სხვა	1610,1620,1630,1635,1690					
8	სხვა მოვლადიანი აქტივები	1300,1500,1900,3340,3360					
9	ბიოლოგიური აქტივები		[10]+[11]				
10	თვითღირებულების მოდელით						
11	გასაყიდი ფასის მოდელით						
12	ძირითადი საშუალებები		[13]+[14]+[15]+[16]+[17]				
13	მიწა	2110					
14	შენობა-ნაგებობები	2120,2130,2140					
15	სხვა ძირითადი საშუალებები	2150,2160,2170,2180,2190					

<< წინ შემდეგ >> დასასრული შევწვიტოთ

შესაბამის ლილაკებზე დაჭერით გავდივართ შემდეგ ცხრილებზე“ დებიტორ კრედიტორების გადასახური მშობელი ანგარიშები“:

დებიტორ/კრედიტორების გადასახური მშობელი ანგარიშები

ანგარიში1	ანგარიში1-ის დასახელება	ანგარიში2	ანგარიში2-ის დასახელება
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მო...	3120	მიღებული ავანსები
3110	მოწოდებიდან და მომსახურებიდ...	1480	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსე...

აგირჩიოთ დაგხუროთ

და „გადასახური ანგარიშები“:

გადასახური ანგარიშები

ძირითადი ანგარიში	ძირითადი ანგარიშის დასახელება	დებიტო	კრედიტ	კორესპონდე/ ანგარიში	კორესპონდენტი ანგარიშის დასახელება
2210	მიწის ნაკვეთები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2110	მიწის ნაკვეთები
2220	დაუმთავრებელი მშენებ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2120	დაუმთავრებელი მშენებლობა
2230	შენობის ცვეთა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2130	შენობები
2250	მანქანა-დანადგარების ცვ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2150	მანქანა-დანადგარები
2260	ოფისის აღჭურვილობის ც...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2160	ოფისის აღჭურვილობა
2280	სატრანსპორტო საშუალებ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2180	სატრანსპორტო საშუალებები
2290	იჯარით აღებული ქონები...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწ...
2600	არამატერიალური აქტივებ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2500	არამატერიალური აქტივები
6000	საოპერაციო შემოსავლები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
7000	საოპერაციო ხარჯები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
8100	არასაოპერაციო შემოსავლ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
8200	არასაოპერაციო ხარჯები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
9110	განსაკუთრებული შემოსა...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
9120	განსაკუთრებული ხარჯები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...

აგირჩიოთ დაგხუროთ

ეს ცხრილები ასევე გამოიყენება საცდელ ბალანსში. ამ ცხრილების მიხედვით გადახურული შედეგები მოხვდება ანგარიშგების ფორმებში.

იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ანგარიშები ბუღალტრული გატარებებით არ გაქვთ განაშთული (მაგ. გადახდილი და გადასახდელი დღგ, აქციზი და სხვა) ფორმების შედგენის დროს ეს ანგარიშები უნდა დაემატოს გადასახური ანგარიშების სიაში, რომ ფინანსური მდგომარეობის ფორმაში ამოვიდეს გადახურული ნაშთი. გადასახური ანგარიშების სიაზე დააჭირეთ დამატების ღილაკს, გამოსულ ეკრანზე აირჩიეთ საკრედიტო ანგარიში, მაგ 3330, მონიშნეთ „კრედიტი“, რომ მისი საკრედიტო ნაშთი გადაიხუროს კორესპონდენტი ანგარიშით, მაგ 3340-ით.

დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“, იგივე პრინციპით შეგიძლიათ დაამატოთ 3350 ანგარიშის 3360-ით გადახურვა და თუ გაქვთ სხვა საბუღალტრო ანგარიშებიც, რომელთა სადებეტო და საკრედიტო ნაშთებიც უნდა გაინაშთოს და ისე ამოვიდეს ფინანსური მდგომარეობის ფორმაში, იგივე პრინციპით დაამატეთ გადასახური ანგარიშების სიაში. გადასახური ანგარიშების სიაში დაემატება ახალი ჩანაწერები:

პირითადი ანგარიში	პირითადი ანგარიშის დასახელება	დებუტი	კრედიტი	კორესპონდენტი ანგარიში	კორესპონდენტი ანგარიშის დასახელება
2210	მიწის წაკვეთები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2110	მიწის წაკვეთები
2220	დაუმთავრებელი მშენებ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2120	დაუმთავრებელი მშენებლობა
2230	შენობის ცვეთა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2130	შენობები
2250	მანქანა-დანადგარების ცვ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2150	მანქანა-დანადგარები
2260	ოფისის აღჭურვილობის ც...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2160	ოფისის აღჭურვილობა
2280	სატრანსპორტო საშუალებ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2180	სატრანსპორტო საშუალებები
2290	იჯარით აღებული ქონები...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწ...
2600	არამატერიალური აქტივებ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	2500	არამატერიალური აქტივები
6000	საოპერაციო შემოსავლები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
7000	საოპერაციო ხარჯები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
8100	არასაოპერაციო შემოსავლ...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
8200	არასაოპერაციო ხარჯები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
9110	განსაკუთრებული შემოსა...	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
9120	განსაკუთრებული ხარჯები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარ...
3330	გადასახდელი დღგ	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	3340	გადახდილი დღგ
3350	გადასახდელი აქციზი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	3360	გადახდილი აქციზი

დებიტორ-კრედიტორების ანგარიშების გადახურვა ხდება შემდეგი ლოგიკით: სისტემა ნახავს სიაში „გადასახური დებიტორ კრედიტორების მშობელი ანგარიშები“ მითითებული ანგარიშების ქვეშ არსებობს თუ არა ერთი და იგივე დებიტორ/კრედიტორის ანგარიში. თუ არსებობს ასრულებს შემდეგ მოქმედებებს:

1) ამოწმებს ნაშთს ორივე ანგარიშზე და უმცირესი ნაშთით ასრულებს აქტიური ანგარიშის დებეტის და პასიური ანგარიშის კრედიტის გადახურვას. სხვაობა დარჩება იმ ანგარიშზე, რომელზეც მეტია ნაშთი.

2) თუ დებიტორ/კრედიტორის აქტიურ ანგარიშზე არსებობს საკრედიტო ნაშთი, მაშინ თანხა გადავა დებიტორ/კრედიტორის შესაბამის პასიური ანგარიშის კრედიტში. პასიურ ანგარიშზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში თანხები აიჯამება.

3) თუ დებიტორ/კრედიტორის პასიურ ანგარიშზე არსებობს სადებეტო ნაშთი, მაშინ თანხა გადავა დებიტორ/კრედიტორის შესაბამის აქტიური ანგარიშის დებეტში. აქტიურ ანგარიშზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში თანხები აიჯამება. ფორმაში ანგარიშის ველში მითითებული ანგარიშ(ებ)ის მიხედვით მიიღება თითოეული პერიოდის შედეგი (ნაშთი) გადასახური ანგარიშების გათვალისწინებით.

პირველ ჯერზე გამკვების დროს ფორმის შედეგების ველები ცარიელია, შეგიძლიათ გადახედოთ მითითებულ ანგარიშებს დაამატოთ ანგარიშები ან შეცვალოთ თქვენი ანგარიშთა გეგმის მიხედვით მითითებული ანგარიშები. ანგარიშის ან ფორმულის ველის კორექტირების შემთხვევაში მოხდება კორექტირებული ველის და იმ ველების შედეგის ამოღება და შენახვა, რომელშიც კორექტირებული ველი ფორმულით აიჯამება. ღილაკზე „გადავითვალოთ შედეგები“ დაჭერით, მითითებული ანგარიშების და ფორმულების გათვალისწინებით მოხდება ყველა ველის შედეგის გადათვლა და შედეგების ცხრილში შენახვა. შემდეგ ჯერზე მაკროსის გამკვების დროს შედეგების ამოღება მოხდება ცხრილიდან.

ფინანსური მდგომარეობის ფორმის შედეგების უმეტესობა ფორმირდება ბუღალტრული ნაშთებიდან, ანგარიშის კორექტირება შესაძლებელია როგორც აკრეფით, ასევე სიაზე გასვლით და ერთი ან რამდენიმე ჩანაწერის არჩევით. ხელით აკრეფის შემთხვევაში ანგარიშის ნომრები უნდა გამოიყოს მძიმით.

ანგარიშების სიიდან ასარჩევად გააკორექტირეთ ანგარიშის ველი. სამწერტილიან ღილაკზე დაჭერით იხილავთ ეკრანს, სადაც მითითებული ანგარიშ(ებ)ი მონიშნული იქნება. აღნიშნულ ეკრანში ნაჩვენებია საანგარიშგებო პერიოდის ნაშთები გადახურვების გათვალისწინებით:

მაკროსი (შეთხვე კატეგორიის ციფრული ფორმები)

თუ შედეგები ცარიელია, ან გსურთ თავიდან გადათვლა, გამოიყენეთ ღილაკი [გადავითვალოთ შედეგები];
 მხოლოდ ერთი ჩანაწერის შედეგის გადასათვლელად გააკორექტირეთ შესაბამისი ანგარიშის ან ფორმულის ველი;
 მიღებული შედეგები გადაიტანეთ <https://rms.reportal.ge>-ზე, შეთხვე კატეგორიის ფინანსური მდგომარეობის ფორმაში;

დებიტორ კრედიტორების გადასახური მშობელი ანგარიშები

გადასახური ანგარიშები

გადავითვალოთ შედეგები

ფინანსური მდგომარეობა

N	დასახელება	ანგარიშები	ფორმულა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019	შემოწმების პირობა
1	აქტივები						
2	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1100.1200					
3	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1410,1415,1420,1430,1440,1450,1460,1470,1490					
4	გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები						
5	მარაგები						
6	შპს პროდუქცია						
7	სხვა						
8	სხვა მოვლევადიანი აქტივები						
9	ბიოლოგიური აქტივები						
10	თვითღირებულების მოდელით						
11	გასაყიდი ფასის მოდელით						
12	ძირითადი საშუალებები						
13	მიწა						
14	შენიშნა-ნაგებობები						
15	სხვა ძირითადი საშუალებები						

მაკროსი (Show closable balances)

რამდენიმე ანგარიშის ერთდროულად ასარჩევად ან არჩეული ანგარიშების შესანარჩუნებლად, ახალი ანგარიშის მონიშვნის დროს გამოიყენეთ CTRL ღილაკი!

ანგარიში	დასახელება	დებიტი ექვივალენტი	კრედიტი ექვივალენტი	დებიტი გადახურვამდე	კრედიტი გადახურვამდე
1390	სხვა მოვლევადიანი ინვესტიციები				
1400	მოვლევადიანი მოთხოვნები	6.105.26		6.933.00	
1410	მოთხოვნები მიწოდებებიდან და მ...	1.584.26		2.967.00	
1415	საექვო მოთხოვნების კორექტირება	100.00		100.00	
1420	მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს...				
1430	მოთხოვნები საწარმოს პერსონალ...				
1440	მოთხოვნები ხელმძღვანელი და ...				
1450	მოთხოვნები პარტნიორებზე გაცე...				
1460	კაპიტალის შიდაგადახურვები				
		681.706.88	843.348.82		

OK შეწყვიტოთ

გამოსულ ეკრანში თუ აირჩევთ ამ ველში არსებული ანგარიშებისგან განსხვავებულ ანგარიშებს იხილავთ შეტყობინებას:

არჩეული ანგარიშები:
 [1410] განსხვავდება არსებულისგან:
 [1410,1420,1430,1440,1450,1460,1470,1490]!
 მაინც შევცვალოთ ?


Yes No

YES ღილაკზე საჭერის შემთხვევაში ახალი ანგარიშ(ებ)ით შეიცვლება ფინანსური მდგომარეობის ფორმაში მითითებული ჩანაწერები და გადაითვლება შესაბამისი შედეგები, NO ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში არ მოხდება ანგარიშების ცვლილება.

ფინანსური მდგომარეობის ფორმაში არის ველები, რომლებიც ფორმირდება სხვა ველების ჯამებით. ასეთ ველებს ფორმაში ცისფერი შეფერილობა აქვს. ფორმულის ველი გამოიყენება სხვადასხვა სტრიქონების დასაჯამებლად.

ამისათვის სტრიქონის ნომერი თავსდება ფიგურულ ფრჩხილში და ემატება იმ სტრიქონ(ებ)ის რიგითი ნომერი(ასევე ფიგურულ ფრჩხილებში), რომლის შედეგებიც უნდა აიჯამოს. მაგ [2]+[3].

თუ ფორმულის მნიშვნელობას არაკორექტულად მივუთითებთ(მაგ. ფიგურული ფრჩხილი არაა დახურული ან სხვა), გამოვა შესაბამისი შეტყობინება:



OK ღილაკზე დაჭერის შემდეგ შესაძლებელი იქნება გააკორექტიროთ და გაასწოროთ ფორმულა.

ანგარიშის ან ფორმულის ველის კორექტირების შედეგად შეიცვლება არა მარტო იმ ველის შედეგი, რომლის ანგარიში ან ფორმულა შეიცვალა, არამედ ყველა იმ ველის შედეგი, რომლის ფორმულაშიც მონაწილეობს შეცვლილი ველის ჩანაწერის ნომერიც.

როგორც წესი ფორმის კონკრეტული ველის შედეგების ამოღება უნდა მოხდეს ანგარიშებიდან ან ფორმულიდან. ერთდროულად ორივე მნიშვნელობის მითითება არ არის საჭირო, მაგრამ ანგარიშსა და ფორმულას შორის პრიორიტეტულია ფორმულის ველი. თუ ანგარიშის ველსაც შეავსებთ და ფორმულასაც, ასეთი ველის შედეგები დაითვლება ფორმულის მიხედვით, ხოლო ფორმულის ნაშლის შემთხვევაში ველის მნიშვნელობა გადაითვლება ანგარიშის ნაშთიდან.

გარდა ანგარიშისა და ფორმულისა, შესაძლებელია მიღებული შედეგების ველების ხელით კორექტირებაც. თუ კორექტირებული შედეგის ველის ნომერი მონაწილეობს სხვა სტრიქონის ფორმულაში, იმ ველის მნიშვნელობაც შეიცვლება კორექტირებული ველის გათვალისწინებით.

გაითვალისწინეთ, თუ შედეგის ველებში ხელით შეცვლით რიცხვებს და დააჭერთ ღილაკს „გადავითვალთ შედეგები“ თავიდან მოხდება შედეგების გადათვლა. თუ გსურთ მხოლოდ კონკრეტული ველების შედეგების გადათვლა, გააკორექტირეთ მხოლოდ იმ ჩანაწერის ანგარიშის ველი, რომლის ცვლილებაც უნდა განხორციელდეს. ამ შემთხვევაში გადაითვლება მხოლოდ კორექტირებული ველი და ის ველები, სადაც ეს ველი იჯამება.

თუ მაკროსის გაშვების პროცესში შეიტანთ ცვლილებებს ბუღალტრულ გატარებებში, ანუ შეიცვლება ანგარიშებზე შედეგები უმჯობესია დახუროთ და თავიდან გამოიძახოთ მაკროსი.

ფორმაში შესაძლებელია ჩანაწერების ექსპორტი ექსელის ფაილში და მონაცემების იმპორტი ექსელის ფაილიდან. თუ მონაცემების გაექსპორტება ხდება შემდეგში იმპორტის მიზნით, სასურველია ექსპორტის ეკრანზე გადანიშნული იყოს „ხილული ჩანაწერების ექსპორტი“, რომ გაექსპორტდეს ფორმის ყველა ველი. იმპორტის შემთხვევაში ფორმის არსებული ველები გასუფთავდება, აიწყობა და შედეგები თავიდან გადაითვლება მიიმპორტებული ჩანაწერების მიხედვით.

ფორმაში შეტანილი კორექტირებები (დასახელება, ანგარიში, ფორმულა) შეინახება და მეორე ჯერზე მაკროსის გაშვების შემთხვევაში ფორმის შედეგები ავტომატურად დაფორმირდება შეტანილი ცვლილებების მიხედვით .

მიღებული ფინანსური მდგომარეობის უწყისი შეგიძლიათ გააექსპორტოთ ფაილში ან ეკრანზე ასახული შედეგების მიხედვით პირდაპირ შეავსოთ <https://rms.reportal.ge>-ზე, მეოთხე კატეგორიის ფინანსური მდგომარეობის ფორმა;

მომდევნო გვერდზე გადასავლელად დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“. იხილავთ „საქმიანობის შედეგების“ ფორმას:

მაკროსი (მეოთხე კატეგორიის ციფრული ფორმები)

თუ შედეგები ცარიელია, ან გსურთ თავიდან გადათვლა, გამოიყენეთ ღილაკი [გადავითვალოთ შედეგები];
 მხოლოდ ერთი ჩანაწერის შედეგის გადასათვლელად გააკორექტირეთ შესაბამისი ანგარიშის ან ფორმულის ველი;
 მიღებული შედეგები გადაიტანეთ <https://rms.reportal.ge>-ზე, მეოთხე კატეგორიის საქმიანობის შედეგების ფორმაში;

გადავითვალოთ შედეგები

საქმიანობის შედეგები

	N	დასახელება	ანგარიშები/ბრუნვა	ანგარიშები/წამითი	ფორმულა	31/12/2021	31/12/2020	შემოწმების პირობა
▶	1	ნეტო ამონაგები			[2]+[3]+[4]+[5]			
	2	საქონლის გაყიდვიდან	6110,6120					
	3	მომსახურების გაწვიდან						
	4	სამშენებლო ხელშეკრულებიდან						
	5	სხვა	6190					
	6	გაყიდვების თვითღირებულება	7210,7220					
	7	საწყისი მარაგები						
	8	მარაგების შესყიდვა						
	9	გადაუმუშავების დანახარჯები						
	10	საბოლოო მარაგები						
	11	საერთო მოგება			[1]+[6]			
	12	სხვა შემოსავალი	6190					
	13	ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასებ...	7410,7415					
	14	ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	7455					
	15	გაუფასურების ხარჯი:			[16]+[17]+[18]			
	16	ფინანსური აქტივები						
	17	მარაგები						
	18	სხვა არაფინანსური აქტივები						
	19	საერთო პროფიტის საფუძველი	8110,8190					

<< წინ შემდეგ >> დასასრული შევწყვიტოთ

ფორმაში ივსება საანგარიშგებო პერიოდის და წინა შესადარისი პერიოდის შედეგებით.

პირველ ჯერზე გაშვების დროს ფორმის შედეგების ველები ცარიელია, შეგიძლიათ გადახედოთ მითითებულ ანგარიშებს დაამატოთ ანგარიშები ან შეცვალოთ თქვენი ანგარიშთა გეგმის მიხედვით მითითებული ანგარიშები. ანგარიშის ან ფორმულის ველის კორექტირების შემთხვევაში მოხდება კორექტირებული ველის და იმ ველების შედეგის ამოღება, რომელშიც კორექტირებული ველი ფორმულით აიჯამება. ღილაკზე „გადავითვალოთ შედეგები“ დაჭერით, მითითებული ანგარიშების და ფორმულების გათვალისწინებით მოხდება ყველა ველის გადათვლა და შედეგების ცხრილში შენახვა. შემდეგ ჯერზე მაკროსის გაშვების დროს ავტომატურად ეკრანზე აისახება უკვე დათვლილი შედეგები, რომელიც შენახული იყო შედეგების ცხრილში.

ფორმაში შედეგების უმრავლესობა ფორმირდება ბრუნვებიდან. ველში ანგარიშები/ბრუნვა, უნდა მიეთითოს ის ანგარიშები, რომელთა ბრუნვაც უნდა მოხვდეს ველის შესაბამის შედეგებში. ანგარიშის მითითება შესაძლებელია ხელით ან სიაზე გასვლით. ხელით აკრეფის შემთხვევაში ანგარიშები უნდა გამოიყოს მძიმით. ველში „ანგარიში/ბრუნვა“ ანგარიშის სიიდან არჩევის შემთხვევაში გააკორექტირეთ აღნიშნული ველი სამწერტილიან ღილაკზე დაჭერით. იხილავთ მოგება-ზარალის ბრუნვების სიას. მითითებული ანგარიშები შედეგების ეკრანზე მონიშნული იქნება:

მაკროსი (მეოთხე კატეგორიის ციფრული ფორმები)

თუ შედეგები ცარიელია, ან გასურთ თავიდან გადათვლა, გამოიყენეთ ღილაკი [გადავითვალოთ შედეგები];
 მხოლოდ ერთი ჩანაწერის შედეგის გადასათვლელად გააკორექტირეთ შესაბამისი ანგარიშის ან ფორმულის ველი;
 მიღებული შედეგები გადაიტანეთ <https://rms.reportal-ge-ზე>, მეოთხე კატეგორიის საქმიანობის შედეგების ფორმაში;

გადავითვალოთ შედეგები

საქმიანობის შედეგები

N	დასახელება	ანგარიშები/ბრუნვა	ანგარიშები/ნაშთი	ფორმულა	31/12/2021	31/12/2020	შემოწმების პირობა
1	ნეტო ამონაგები			[2]+[3]+[4]+[5]			
2	საქონლის გაყიდვიდან	6110,6120					
3	მომსახურების გაწვიდან						
4	სამშენებლო ხელშეკრულებიდან						
5	სხვა						
6	გაყიდვების თვითღირებულება						
7	საწყისი მარაგები						
8	მარაგების შესყიდვა						
9	გადაუმუშავების დანახარჯები						
10	საბოლოო მარაგები						
11	საერთო მოგება						
12	სხვა შემოსავალი						
13	ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხ...						
14	ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი						
15	გაუფასურების ხარჯი:						
16	ფინანსური აქტივები						
17	პ...						

მოგება/ზარალი

პერიოდი [01.01.2021 - 01.01.2022] არ დავხლიჩით მ:მ:მ წაერთი GEL

ბრუნვები


ანგარიში	დასახელება	სულ+	სულ-
6100	საოპერაციო შემოსავლები		-1,500.00
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან		-1,500.00
6110 1	შემოსავალი დასაბეგრი რეალიზაციიდან		-1,500.00
6110 2	შემოსავალი წულოვანი დღგ-ს რეალიზა...		
6110 3	შემოსავალი დაუბეგრავი რეალიზაციიდან		
6110 4	შემოსავალი უსასყიდლო რეალიზაციიდან		
6120	გაყიდვების საბოლოო მარაგების ცვლილება		
249		167,399.95	-167,399.95

აგორჩოთ დავხუროთ

გამონაკლის შემთხვევაში შესაძლოა დაგვჭირდეს რომელიმე ანგარიშის ნაშთის ამოღება (მაგ. გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)), ამ შემთხვევაში შესაბამისი ანგარიშის მითითება უნდა მოხდეს ველში ანგარიშები/ნაშთი ხელით, ან სიაზე გასვლით (ველის კორექტირებითა და წერტილებიან ღილაკზე დაჭერით) და ერთი ან რამდენიმე ჩანაწერის არჩევით:

სიაზე გასვლა იძახებს დამატებით მაკროსს, რომელიც აჩვენებს გადახურულ ნაშთებს და შედეგებში ამოიღებს ამ ანგარიშის წინა წლის ნაშთს. ფორმაში მითითებული ანგარიშები შედეგების ეკრანზე მონიშნული იქნება. ხელით აკრეფის შემთხვევაში ანგარიშის ნომრები უნდა გამოიყოს მძიმით.

ანგარიშების (ანგარიშები/ბრუნვა, ანგარიშები/ნაშთი) სიიდან არჩევის შემთხვევაში, თუ ველში უკვე მითითებულია ანგარიშები და ირჩევთ განსხვავებულ ანგარიშებს, იხილავთ შეტყობინებას:




YES ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში ახალი ანგარიშ(ებ)ით შეიცვლება ფინანსური მდგომარეობის ფორმაში მითითებული ჩანაწერები და გადაითვლება შესაბამისი შედეგების ველები, NO ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში არ მოხდება ანგარიშების ცვლილება.

შესაძლოა რაღაც ველების შედეგები არ ამოდიოდეს კონკრეტული ანგარიშების ნაშთებიდან და ბრუნვებიდან (მაგ.გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა), ამ შემთხვევაში ასეთი ველების შედეგები შესაბამისი წლის მიხედვით შესაძლებელია მიეთითოს ხელით. შედეგების მითითების შემთხვევაში გადაითვლება იმ ველების შედეგებიც, რომლის გამოთვლაშიც მონაწილეობს კორექტირებული ველის ნომერი.

ფინანსური მდგომარეობის შედეგების მსგავსად საქმიანობის შედეგებშიც არის ველები, რომელთა მნიშვნელობებიც უნდა დაფორმირდეს სხვა ველების ჯამებით (ან სხვაობებით-. ფორმაში ხარჯის მნიშვნელობები გადის მინუს ნიშნით, ამიტომ უნდა აიჯამოს ველები, რომ ხარჯი გამოაკლდეს) . მაგ. საერთო მოგება უნდა დაითვალოს [ნეტო ამონაგები] - [გაყიდვების თვითღირებულება], რადგან თვითღირებულება, ხარჯის მნიშვნელობა ფორმაში გადის „-“ ნიშნით, საერთო მოგების ფორმულაში უნდა ჩაიწეროს [1]+[6] (1-ნეტო ამონაგების მიმდევრობის ნომერია, ხოლო 6- თვითღირებულების).

თუ ფორმულის მნიშვნელობას არაკორექტულად მივუთითებთ (მაგ. ფიგურული ფრჩხილი არაა დახურული ან სხვა), გამოვა შესაბამისი შეტყობინება:



OK ღილაკზე დაჭერის შემდეგ შესაძლებელი იქნება გააკორექტიროთ და გაასწოროთ ფორმულა.

ფორმაში „საქმიანობის შედეგები“ შედეგების ამოღება უნდა მოხდეს ანგარიშები/ბრუნვის გათვალისწინებით ან იშვიათად ანგარშები/ნაშთის ან ფორმულის მიხედვით, ერთდროულად სამივე მნიშვნელობის მითითება არ არის საჭირო, მაგრამ ყველაზე პრიორიტეტულია ფორმულის ველი. თუ მომხმარებელი ანგარიშის ველსაც შეავსებს და ფორმულასაც, ასეთი ველის შედეგები დაითვლება ფორმულის მიხედვით, ხოლო ფორმულის ნაშლის შემთხვევაში ველის მნიშვნელობა გადაითვლება ანგარიშის ნაშთიდან, ანგარიშები/ნაშთის ნაშლის შემთხვევაში- ანგარიშები/ბრუნვის მიხედვით.

გარდა ანგარიშისა და ფორმულისა, შესაძლებელია მიღებული შედეგების ველების ხელით კორექტირებაც, ამ შემთხვევაში გადაითვლება იმ ველების შედეგებიც, რომლის გამოთვლაშიც მონაწილეობს კორექტირებული ველის ნომერი.

გაითვალისწინეთ, თუ შედეგის ველებში ხელით შეცვლით რიცხვებს და დააჭერთ ღილაკს „გადავითვალთ შედეგები“ თავიდან მოხდება შედეგების გადათვლა. თუ გსურთ მხოლოდ კონკრეტული ველების შედეგების გადათვლა, გააკორექტირეთ მხოლოდ იმ ჩანაწერის ანგარიშის ველი, რომლის ცვლილებაც უნდა განხორციელდეს. ამ შემთხვევაში გადაითვლება მხოლოდ კორექტირებული ველი და ის ველები, სადაც ეს ველი იჯამება.

თუ მაკროსის გაშვების პროცესში შეიტანთ ცვლილებებს ბუღალტრულ გატარებებში, ანუ შეიცვლება ანგარიშებზე შედეგები უმჯობესია დახუროთ და თავიდან გამოიძახოთ მაკროსი.

იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური მდგომარეობის ფორმაში რომელიმე წლის შესაბამისი ველის „სულ აქტივები“ შედეგი არ უდრის „სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებებს“, ეკრანზე წითელი ფონით მონიშნება ამ წლის შესაბამისი ველი „სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები“-ს შედეგი და ფინანსური

მდგომარეობის ფორმის თავზეც გამოჩნდება შესაბამისი წარწერა. შემონმება ხდება ველში „შემონმების პირობა“ მითითებული პირობით, მაგ.[22]=[42], ამ შემთხვევაში 22 არის „სულ აქტივები“-ს ველის რიგითი ნომერი, ხოლო 42-„სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები“-ს. გადათვლის,ანგარიშების, ფორმულის ან შედეგების ხელით კორექტირების შედეგად თუ მოხდება ამ პირობის შესრულება, ველის წითელი შეფერილობა გაქრება, ხოლო თუ პირობა სრულდება ფინანსური მდგომარეობის ფორმის ყველა პერიოდის შედეგებში, შეტყობინებაც გაქრება.

ფორმაში შესაძლებელია ჩანაწერების ექსპორტი ექსელის ფაილში და მონაცემების იმპორტი ექსელის ფაილიდან. თუ მონაცემების გაექსპორტება ხდება შემდეგში იმპორტის მიზნით, სასურველია ექსპორტის ეკრანზე გადანიშნული იყოს „ხილული ჩანაწერების ექსპორტი“, რომ გაექსპორტდეს ფორმის ყველა ველი. იმპორტის შემთხვევაში ფორმის არსებული ველები გასუფთავდება, აიწყობა და შედეგები თავიდან გადაითვლება მიიმპორტებული ჩანაწერების მიხედვით.

ფორმაში შეტანილი კორექტირებები (დასახელება, ანგარიში, ფორმულა) შეინახება და მეორე ჯერზე მაკროსის გაშვების შემთხვევაში ფორმის შედეგები ავტომატურად დაფორმირდება შეტანილი ცვლილებების მიხედვით.

თუ მაკროსის გაშვების პროცესში შეიტანთ ცვლილებებს ბუალტრულ გატარებებში, ანუ შეიცვლება ანგარიშებზე შედეგები უმჯობესია დახუროთ და თავიდან გამოიძახოთ მაკროსი.

იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის შედეგების ფორმის რომელიმე წლის შესაბამისი ბოლო ველის „გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი“ შედეგი არ უდრის ფინანსური მდგომარეობის ფორმიდან „გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ბარალი)“-ს შესაბამისი წლის შედეგს, ეკრანზე წითელი ფონით მოინიშნება ამ ბოლო ველის შედეგი და ფორმის თავზეც გამოჩნდება შესაბამისი წარწერა. შემონმება ხდება ველში „შემონმების პირობა“ მითითებული პირობით, ამ შემთხვევაში [33]=|38], როცა შედარება ხდება სხვა ფორმასთან, რიგით ნომრებთან ერთად გამოიყენება ფორმის ნომერიც, |38] აქ იგულისხმება პირველი ანუ ფინანსური მდგომარეობის ფორმიდან, ჩანაწერი რიგითი ნომრით 38. გადათვლის,ანგარიშების, ფორმულის ან შედეგების ხელით კორექტირების შემდეგ, თუ მოხდება ამ პირობის შესრულება, ველის წითელი შეფერილობა გაქრება, ხოლო თუ პირობა სრულდება საქმიანობის შედეგების ფორმის ყველა პერიოდის შედეგებში, შეტყობინებაც გაქრება.

მიღებული საქმიანობის შედეგების უწყისი შეგიძლიათ გააექსპორტოთ ფაილში ან ეკრანზე ასახული შედეგების მიხედვით პირდაპირ შეავსოთ <https://rms.reportal.ge>-ზე, მეოთხე კატეგორიის საქმიანობის შედეგების ფორმა;

მაკროსის ბოლო, მეოთხე გვერდზე ფორმირდება **ფულადი სახსრების მოძრაობის ფორმა**.

მაკროსი (მეოთხე კატეგორიის ციფრული ფორმები)

თუ შედეგები ცარიელია, ან გასურთ თავიდან გადათვლა, გამოიყენეთ ღილაკი [გადავითვალოთ შედეგები];
 მხოლოდ ერთი ჩანაწერის შედეგის გადასათვლელად გააორექტირეთ შესაბამისი ანგარიშის ან ფორმულის ველი;
 მიღებული შედეგები გადაიტანეთ <https://rms.reportal.ge>-ზე, მეოთხე ფულადი სახსრების მოძრაობის ფორმაში;

გადავითვალოთ შედეგები

ფულადი სახსრების მოძრაობა

N	ველის დასახელება	ფულადი სახსრების კატეგორია	ანგარიშები/ნაშთი	ანგარიშები/ბრუნვ	ფორმულა	31/12/2021	31/12/2020	შემოწმების პირობა
1	საოპერაციო საქმიანობა							
2	მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	1კატ						
3	მოწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულ...	2კატ						
4	სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3კატ,4კატ						
5	საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	5კატ						
6	გადახდილი მოგების გადასახადი	4კატ						
7	ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან				[2]-[3]+[4]+[5]...			
8	საინვესტიციო საქმიანობა							
9	ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძ...	6კატ						
10	ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიან...							
11	სესხის (გაცემა) და შემდგომი დაბრუნება							
12	ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გ...	9კატ						
13	ფულადი სახსრების შემოსვლა ბიოლოგიური აქტივების გაყ...							
14	მიღებული პროცენტი	10კატ						
15	მიღებული დივიდენდები	12კატ						
16	სხვა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	7კატ,11კატ						
17	საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი ...				[9]+[10]+[11]...			
18	საინვესტიციო საქმიანობა							

<< წინ შემდეგ >> დასასრული შევწყვიტოთ

მეოთხე კატეგორიის ფულადი სახსრების მოძრაობის ფორმის შედეგების ძირითადი ნაწილი ფორმირდება ფულადი სახსრების კატეგორიების მიხედვით. ფორმის ველებს ფულადი სახსრების კატეგორიის სვეტში მიეთითება ქეშფლოუს ის კატეგორია/ან კატეგორიები, რომელთა შედეგიც უნდა ამოიღოს საანგარიშგებო პერიოდისთვის.

პირველ ჯერზე გაშვების დროს ფორმის შედეგების ველები ცარიელია, შეგიძლიათ გადახედოთ მითითებულ კატეგორიებს, ანგარიშებს და ფორმულებს და შეიტანოთ ცვლილებები. კატეგორიის, ანგარიშის ან ფორმულის ველის კორექტირების შემთხვევაში მოხდება კორექტირებული ველის და იმ ველების შედეგის ამოღება, რომელშიც კორექტირებული ველი ფორმულით აიჯამება. ღილაკზე „გადავითვალოთ შედეგები“ დაჭერით, მითითებული ანგარიშების და ფორმულების გათვალისწინებით მოხდება ყველა ველის შედეგის გადათვლა და შედეგების ცხრილში შენახვა. შემდეგ ჯერზე მაკროსის გაშვების დროს ავტომატურად ეკრანზე აისახება უკვე დათვლილი შედეგები, რომელიც შენახული იყო შედეგების ცხრილში.

კატეგორიების მითითება შესაძლებელია ხელით, ან ფულადი სახსრების ფორმაზე გასვლით და სიიდან არჩევით:

ფორმაში უკვე მითითებული კატეგორია ფულადი სახსრების მოძრაობის ეკრანზე გასვლის დროს მონიშნული იქნება და კატეგორიის/კატეგორიების არჩევის შემთხვევაში (თუ აირჩევთ არსებული კატეგორიისგან განსხვავებულ კატეგორიას) გამოვა შეტყობინება:


YES ღილაკზე საჭერის შემთხვევაში ახალი კატეგორიებით შეიცვლება ფინანსური მდგომარეობის ფორმაში მითითებული ჩანაწერები და გადაითვლება შესაბამისი

შედეგების ველები, NO ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში არ მოხდება ანგარიშების ცვლილება.

არჩეული კატეგორიების შედეგებით შეივსება ციფრული ფორმის შესაბამისი ველები.

ფულადი სახსრების მოძრაობის ფორმაშიც გამონაკლისი შემთხვევაში შესაძლოა დაგვჭირდეს რომელიმე ანგარიშის ნაშთის ამოღება (მაგ.ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის), ამ შემთხვევაში შესაბამისი ანგარიშის მითითება უნდა მოხდეს ველში ანგარიშები/ნაშთი ხელით, ან სიაზე გასვლით და არჩევით. სიაზე გასვლა იძახებს დამატებით მაკროსს, რომელიც აჩვენებს წინა წლის გადახურულ ნაშთებს და და შედეგებში ამოიღებს ამ ანგარიშის წინა წლის ნაშთს.

ფულადი სახსრების ფორმის ველებშიც ხდება ფორმულის გამოყენება ზუსტად იმავე პრინციპით, როგორც დანარჩენ ფორმებში. აქაც ან კატეგორიის ველი უნდა შეივსოს ან ფორმულის, მაგრამ თუ შემთხვევით ორივე ველს შეავსებთ, შედეგების ფორმირება მოხდება ფორმულის მიხედვით, ფორმულის ნაშლის შემთხვევაში კი შედეგი გამოითვლება მითითებული ფულადი სახსრების კატეგორიის მიხედვით. თუ ფორმულის მნიშვნელობას არაკორექტულად მივუთითებთ(მაგ. ფიგურული ფრჩხილი არაა დახურული ან სხვა), გამოვა შესაბამისი შეტყობინება:



OK ღილაკზე დაჭერის შემდეგ შესაძლებელი იქნება გააკორექტიროთ და გაასწოროთ ფორმულა.

გარდა ფულადი სახსრების კატეგორიისა და ფორმულისა, შესაძლებელია მიღებული შედეგების ველების ხელით კორექტირებაც. ამ შემთხვევაში გადაითვლება ყველა იმ ველის შედეგი, სადაც ფორმულაში მონაწილეობს კორექტირებული ველის ნომერი.

გაითვალისწინეთ, თუ შედეგის ველებში ხელით შეცვლით რიცხვებს და დააჭერთ ღილაკს „გადავითვალოთ შედეგები“ თავიდან მოხდება შედეგების გადათვლა. თუ გსურთ მხოლოდ კონკრეტული ველების შედეგების გადათვლა, გააკორექტირეთ მხოლოდ იმ ჩანაწერის კატეგორიის ველი, რომლის ცვლილებაც უნდა

განხორციელდეს. ამ შემთხვევაში გადაითვლება მხოლოდ კორექტირებული ველი და ის ველები, სადაც ეს ველი იჯამება.

თუ მაკროსის გაშვების პროცესში შეიტანთ ცვლილებებს ბულალტრულ გატარებებში, ანუ შეიცვლება შედეგები უმჯობესია დახუროთ და თავიდან გამოიძახოთ მაკროსი.

იმ შემთხვევაში, თუ ფულადი სახსრების მოძრაობის ფორმის რომელიმე პერიოდის შესაბამისი ბოლო ველის “ფულადი სახსრები წლის ბოლოს” შედეგი არ უდრის ფინანსური მდგომარეობის ფორმიდან „ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები“-ს შესაბამისი პერიოდის შედეგს, ეკრანზე წითელი ფონით მოინიშნება ამ ბოლო ველის შედეგი და ფორმის თავზეც გამოჩნდება შესაბამისი წარწერა. შემონიშნება ხდება ველში „შემონიშნების პირობა“ მითითებული პირობით, ამ შემთხვევაში [30]=I[2]. როცა შედარება ხდება სხვა ფორმასთან, რიგით ნომრებთან ერთად გამოიყენება ფორმის ნომერიც, I[2] აქ იგულისხმება პირველი ანუ ფინანსური მდგომარეობის ფორმიდან, ჩანაწერი რიგითი ნომრით 2. გადათვლის, ანგარიშების, ფორმულის ან შედეგების ხელით კორექტირების შემდეგ, თუ მოხდება ამ პირობის შესრულება, ველის წითელი შეფერილობა გაქრება, ხოლო თუ პირობა სრულდება ფულადი სახსრების მოძრაობის ფორმის ყველა პერიოდის შედეგებში, შეტყობინებაც გაქრება.

ფორმაში შესაძლებელია ჩანაწერების ექსპორტი ექსელის ფაილში და მონაცემების იმპორტი ექსელის ფაილიდან. თუ მონაცემების გაექსპორტება ხდება შემდეგში იმპორტის მიზნით, სასურველია ექსპორტის ეკრანზე გადანიშნული იყოს „ხილული ჩანაწერების ექსპორტი“, რომ გაექსპორტდეს ფორმის ყველა ველი. იმპორტის შემთხვევაში ფორმის არსებული ველები გასუფთავდება, აიწყობა და შედეგები თავიდან გადაითვლება მიიმპორტებული ჩანაწერების მიხედვით.

მიღებული ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი შეგიძლიათ გააექსპორტოთ ფაილში ან ეკრანზე ასახული შედეგების მიხედვით პირდაპირ შეავსოთ <https://rms.reportal.ge>-ზე, მეოთხე კატეგორიის ფულადი სახსრების მოძრაობის ფორმა;